Azerbaijan is situated at the crossroads of two continents, which leads to his active participation in global and regional environmental issues. Country has acceded to eighteen international conventions for the protection of the environment. Strong anthropogenic load feels the Kura River, which ecological condition greatly depends on Georgia and Armenia. Anthropogenic pressures led to a sharp deterioration of the ecological state of the Azerbaijani sector of the Caspian Sea. Armenian aggression causes great damage to the nature of Azerbaijan. For the purpose of improvement of the environment is necessary to attract a wide range of scientific disciplines, and here the leading role must belong to geography.

УДК 551.4

О ПОЛОЖЕНИИ И ОЗДОРОВЛЕНИИ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ В АЗЕРБАЙДЖАНЕ./Гурбанов Т.Р./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии, Технического Университета Грузии. –2011. – т.117. – с. 122-125. – Рус.; Рез. Груз., Анг.,Рус.
Азербайджан расположен на стыке двух континентов, что обуславливает его активное участие в решении глобальных и региональных экологических проблем. Страна присоединилась к восемнадцати международным конвенциям по охране окружающей среды. Сильную антропогенную нагрузку испытывает река Кура, экологическое состояние которой значительно зависит от Грузии и Армении. Антропогенная нагрузка привела к резкому ухудшению экологического состояния Азербайджанского сектора акватории Каспия. Армения наносит огромный ущерб природе Азербайджана. С целью оздоровления окружающей природной среды необходимо привлечь широкий круг научных дисциплин, и здесь ведущая роль должна принадлежать географии.

გ. მელაძე, ხ. ელიზბარაშვილი
ო.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

უკა: 314.479.22

დედამიწის მოსახლეობა როგორც გლობალური მოვლენები არობლების დაზრდისათვის

კაცობრიობის ისტორიაში მე-20 საუკუნე მოსახლეობის არნახული მატებით აღინიშნა, რაც ვამოვგეული იყო მედიცინაში მიღწეული წარმატებების შედეგად – მოკვდაობის შემცირებითა და სიცოცხლის საშუალო მოსალოდნებლი ხანგრძლივობის საგრძნობი მატებით. 2011 წლის დასაწყისითვის დედამიწის მოსახლეობამ 7 მილიარდს მიაღწია. ექსპერტების აზრით, მომავალში დემოგრაფიული ზრდის ტემპების შენელების ტენდენცია მოსალოდნებლი, თუმცა მოსახლეობის მატება მაიც საკმაოდ მაღალი იქნება.

განუხელად მზარდი მსოფლიო მოსახლეობა მოითხოვს სულ უფრო მეტ საკვებს, ენერგიას, ბუნებრივ რესურსებს, რაც ზრდის გეოგრაფიული გარსის შემადგენელ კომპონენტებზე და მათ კავშირურთიერობებზე ზემოქმედებას. მოსახლეობის ზრდის შედეგად უახლოეს აოწლეულებში მოსალოდნებლია ეკოლოგიური კატასტროფების მასშტაბურობისა და რაოდენობის მატება, რაც აისახება განსახლების გეოგრაფიულ თავისებურებებზე.

დემოგრაფიული პროცესების და გლობალური ეკოლოგიური მოვლენების გავლენა ძირითადი ბუნებრივი რესურსების მოხმარებაზე და განაწილებაზე შემდეგნაირად გამოიყენება:

1. **წყლის რესურსები.** უკანასკნელ წლებში წყალზე მოთხოვნილებასა და არსებულ რეზერვებს შორის თანაფარდობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. დედამიწაზე არსებული წყლის საერთო რესურსებიდან მტკნარი წყალი მხოლოდ 2,5%-ს შეადგენს, აქედან მხოლოდ 0,5%-ია განლაგებული გრუნტის ხელმისაწვდომ შრებში და ზედაპირულ წყლებში. დედამიწის მოსახლეობა 1930-2000 წწ. 3-ჯერ, ხოლო წყლის მოხმარება 6-ჯერ გაიზარდა, რაც განპირობებული იყო მრტველობის განვითარებით, საკონკრეტოვრებო და საირიგაციო დანიშნულებით მისი ფართო გამოყენებით.

დადგენილია, რომ XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში მოხმარებოდა მტკნარი წყლის წლიური მარაგის 54%. მოთხოვნილების არსებული დონის შენარჩუნების პირობებში, მხოლოდ მოსახლეობის მატების შედეგად, 2025 წლისათვის გამოყენებული იქნება მტკნარი წყლის არსებული მარაგის 70%. 31 ქვეყანაში მცხოვრები 500 მილიონზე მეტი ადამიანი განიცდიდა წყლის დეფიციტს. 2025 წლისათვის კი მათი რაოდენობა 3 მლრდ-მდე გაიზრდება, რაც მსოფლიოს 48 ქვეყნას მოიცავს [2]. საგულისხმო ფაქტია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც წყლით მომარაგებასთან დაკავშირებული არობლები კველაზე მასშტაბურია (აზიანა და აფრიკის ქვეყნები), მოსახლეობის რაოდენობა კველაზე სწრაფი ტემპით მატებობს.

2. **ტყის რესურსები.** მოსახლეობის ზრდა აისახება მსოფლიოს ტყის საფარზეც. უკანასკნელ 40 წელიწადში ტყების ფართობი მოსახლეობის ერთ სულზე გააგარიშებით 50%-ით შემცირდა. ტყების ფართობების მნიშვნელოვანი კლება აღინიშნა და

მოგრაფიული აფეთქებით გამორჩეულ რეგიონებში [3]. XX საუკუნის მეორე ნახევარში, განვითარებად სამყაროში ტყების ჩეხები კაცობრიობის ისტორიაში უკლაშე მაღალ დონეს მიაღწია. აქ ტყით დაფარული ტერიტორიები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1,2 ჰა-დან 0,6 ჰა-მდე შემცირდა. განსაჯუთობებით უნდა აღინიშნოს ტროპიკული ტყების ფართობების შემცირება სამსრეო ამერიკაში, რაც საფრთხეს უქმნის გეოგრაფიული გარსის ეკოლოგიურ წონასწორობას. ვარაუდობენ, რომ ტყების ჩეხების არსებული ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში უკანასკნელი ბუნებრივი ტროპიკული ტყე 50 წელიწადში გაქრება [4]. საგულისხმია ის ფაქტიც, რომ ტროპიკული ტყეების უდიდესი ნაწილი იმ ქვეყნებშია წარმოუგნილი, რომლებშიაც უკლაშე მაღალია მოსახლეობის მაჩება (2-4% წელიწადში).

გლობალური დათბობის შედეგები ტყიანი ლანდშაფტების გეოგრაფიულ თავისებურებებზეც აისახება, რაც საბოლოო ჯამში გავლენას იქონიებს წყლის და ბიოლოგიური რესურსების, მოსახლეობის და სამეურნეო საეკიადლიზაციის განაწილებაზე. საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების [10] მიხედვით, 2100 წლისთვის კლიმატის ცვლილების ტენდენციები უკლაშე თვალსაჩინო აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ლანდშაფტებისთვის გახდება. აქ ამჟამად საქართველოს მოსახლეობის თოთქმის ნახევარი ანუ 2 მილიონი მცხოვრებია (თბილისის ჩათვლით). მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა შიდა ქართლის ვაკე, ქვემო ქართლის ვაკე და კახეთის გორაკ-ბორცვიანი ნაწილი. ის ლანდშაფტები, რომლებზე მაქსიმალურად უარყოფითად აისახება გლობალური დათბობის შედეგად ტყიანი ლანდშაფტების ცვლა, შემდეგია:

- ქვემო ქართლის ვაკის ნახევრადუდაბნოს ლანდშაფტები. ფართობი 370 კმ², მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 500 ათას მცხოვრებს. ირიგაციის განვითარების გარეშე გადაიქცევა ნახევრადუდაბნოდ;
- შიდა ქართლის ვაკის სტეპური ლანდშაფტები. ფართობი 560 კმ², მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 150 ათას მცხოვრებს. ირიგაციის განვითარების გარეშე გადაიქცევა ნახევრადუდაბნოდ;
- ივრის ზეგანის სტეპური ლანდშაფტები. ფართობი 1140 კმ², მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 50 ათას მცხოვრებს. ირიგაციის განვითარების გარეშე გადაიქცევა ნახევრადუდაბნოდ;
- ივრის ზეგანის უკიდურესი სამხრეთი ნაწილის სტეპური ლანდშაფტები. ფართობი 170 კმ², მუდმივი და სეზონური მოსახლეობის რაოდენობა აღწევს 5 ათას მცხოვრებს. ირიგაციის განვითარების გარეშე გადაიქცევა ნახევრადუდაბნოდ;
- საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ნახევრადუდაბნოს ლანდშაფტები. ფართობი 90 კმ², ნალექების თანამედროვე რაოდენობა შეადგენს 350, მუდმივი მოსახლეობა არაა. გადაიქცევა უდაბნოდ.

ამგვარად, კლიმატის გლობალური დათბობის და მისი მოსალოდნებლი შედეგების მიხედვით, ეკოსისტემების შეცვლის და დეგრადაციის პრობლემა ემუ-

ქრება საქართველოს ტერიტორიის თითქმის 3.5% ანუ 2330 კმ²-ს. ამგვარი პროცესებისთვის აუცილებელი გახდება პრევენციული ქმედებების განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში უკოლოგიურ მიგრაციად გადაქცევა ეტუქრება 700 ათასზე მეტ ადამიანს, რაც თანამედროვე საქართველოს მოსახლეობის 16% შეადგენს.

3. მინერალური რესურსები. მოსახლეობის რაოდენობასა და წიაღისეული რესურსების გამოყენებას შორის პირდაპირპროცესიული ურთიერთკავშირია. XX საუკუნეში თითქმის 4-ჯერ გაიზარდა მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა, რის შედეგადაც მკეთრად მოიმატა მოთხოვნილებამ ენერგომატარებლებზე. აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს ანალიტიკოსების შეფასებით [6], 2025 წლისათვის ენერგიის მოხმარება მსოფლიოში 2001 წლის დონეს 54%-ით გადააჭარბებს. აღნიშნულ მატებაში დიდი წილი ექნებათ აზიის ქვეყნებს (ჩინეთი, ინდოეთი და სხვა), რომლებშიაც უახლოეს 20 წელიწადში ეპონომიკის მკეთრო აღმავლობაა მოსალოდნებლი. ოუ 1980 წელს, ინდუსტრიული განვითარებულ ქვეყნებზე მოდიოდა მსოფლიო ენერგიის მოხმარების 52%, 2004 წლისთვის მათი წილი 44%-მდე შემცირდა, ხოლო 2030 წელს 33%-მდე დაიკლებს. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სამრეწველო წარმოება ე.წ. „დარიბ“ ქვეყნებში უფრო სწრაფი ტეპებით იზრდება, ხოლო განვითარებული ქვეყნები ენერგიას უფრო ეკონომიურად მოიხმარენ [7].

4. მიწის რესურსები. მოსახლეობის მატება და ზემოგანხილული მოსალოდნებლი ცვლილებები წევაზე ტემპებით იზრდება, ხოლო განვითარებული ქვეყნები ენერგიას უფრო ეკონომიურად მოიხმარენ [8].

გეორის სპეციალისტების პროგნოზის საშუალო ვარიანტის თანახმად, 2025 წლისათვის პლანეტის მოსახლეობა 8 მილიარდს მიაღწევს. ადამიანების ასეთი რაოდენობის გამოსაკვებად აუცილებელი გახდება სურსათის წარმოების გაორმაგება. არადა, დედამიწაზე აღინიშნება სახნავი მიწების ფართობების შემცირება. მოსახლეობის გამოკვება შეუძლებელი გახდება მინერალური სასუქებისა და პეტიციების ფართოდ გამოყენების გარეშე, რაც ეკოლოგიური ბალანსის დეგრადაციის მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდება.

გეოგრაფიულ გარსზე ანთროპოგენული ზემოქმედების გასაანალიზებლად გამოიყენება ე.წ. „პროდეგიური მკაფიოდებების“ მაჩვენებელი, რომელიც 1992 წელს დაამკვიდრა უ.რისმა. აღნიშნული მაჩვენებელი ერთი ადამიანის მიერ კვების პროდუქტების, სხვადასხვა მასალების, ენერგიის მოხმარების, პროდუქტების ნიადაგის ან ზღვის ზედაპირის იანგარიშება რომელიც აღნიშნული არის სამართლებრივი მკაფიოდებების საწარმოების აუდაბნოებისა და გაუდაბურების პროცესებს.

ნებს, თუ რა რაოდენობის რესურსებს მოიხმარს მოსახლეობა ამა თუ იმ რეგიონში. ეკოლოგიური კალი ერთ სულ მოსახლეზე და ფართობის ერთეულის შეთანაწყობით იანგარიშება. ამ შემთხვევაში ფართობის ერთეული საშუალო წარმადობის ერთი პექტარის ტოლია. ამავე მაჩვენებლით ასევე შესაძლებელია ვიმსჯელოთ მსოფლიოს რეგიონების ბიოლოგიური შესაძლებლობების (ბიოტევადობა) შესახებ, დავადგინოთ მათი რესურსების მარაგის ან დეფიციტის (სადაც რესურსების ექსპლუატაცია აჭარბებს მათი მდგრადი მოხმარების დონეს) დონე. «ეკოლოგიური კალი» მაჩვენებელმა მსოფლიოში 2005 წლისთვის 2,7 შეადგინა [8].

ცხრ.1. ეკოლოგიური კალი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების მიხედვით (2005 წ.-გლობალური პექტარი/მოსახლეობის ერთ სულზე).

	მოსახლეობის რაოდენობაზე მდგრადი	მდგრადი კალი	ანგარიშებული შესაძლებლობები	მარაგის/დეფიციტი გარემონტი
აფრიკა	902,0	1,4	1,8	0,4
ახლო აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია	346,8	2,2	1,0	-1,2
აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი	3562,0	1,6	0,8	-0,8
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	553,2	2,4	4,8	2,4
ჩრდილოეთ ამერიკა	330,5	9,2	6,5	-2,7
დასავლეთ ევროპა	487,3	4,7	2,3	-2,4
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	239,6	3,5	5,8	2,3


ეკოლოგიური მარაგის კველაზე მაღალი მნიშვნელობით დათინური ამერიკისა და კარიბის აუზის რეგიონი გამოირჩეოდა, სადაც განხილული მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე 2,4-ს შეადგენდა. იგი რეგიონის საქმაოდ მაღალი ბუნებრივი ბიოლოგიური შესაძლებლობებით იყო განაპირობებული (4,8 ერთეული) და რესურსების შედარებით დაბალი მოხმარებით (2,4 ერთეული). ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკოლოგიური დეფიციტი უმთავრესად რეგიონის დაბალი ბიოლოგიური პოტენციალით იყო განაპირობებული. საერთო ეკოლოგიურმა კალმა აღნიშნულ რეგიონში 2,2 ერთეული შეადგინა. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ეკოლოგიური დეფიციტი 0,8 ერთეულის ტოლი იყო, რაც ნაწილობრივ მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით უნდა აისხნას. განხილულ რეგიონს კველაზე დაბალი ბიოლოგიური პოტენციალი გააჩნდა (0,8 ერთეული). საერთო ეკოლოგიური კალის მაჩვენებელმა 1,6 შეადგინა. ეკოლოგიური დეფიციტის კველაზე მაღალი მნიშვნელობა აღინიშნა ჩრდილოეთ ამერიკაში. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონს კველაზე მაღალი ბიოლოგიური შესაძლებლობები (6,5) გააჩნდა.

დასავლეთ ევროპის ეკოლოგიური დეფიციტი 2,4-ს შეადგენდა, რაც მეორე მაჩვენებელი იყო მსოფლიოში. ცენტრალური და აღმოსავლეთ ეკოლოგიის ბიოლოგიური შესაძლებლობები კველაზე მაღალი იყო და 5,8 ერთეულს შეადგენდა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

მოსახლეობის მატების პროგნოზები. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მსოფლიოში მიმდინარეობს შობადობის თანდათანობით კლების პროცესი, დედამიწის მოსახლეობა კვლავ განაგრძობს მატებას.

გაეროს სპეციალისტების მიერ დამუშავებული პროგნოზის საშუალო ვარიანტის თანახმად [9], XXI საუკუნის შუა წლებისთვის დემოგრაფიული აუკეთება დასრულდება და დროის ხანგრძლივ მონაკვეთზე მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 9 მლრდ ფარგლებში დასტაბილურდება (ნახ.1). ამავე პროგნოზით, დევგანდელი სამრეწველო საქმიანობის მასშტაბების პირობებშიც კი, გლობალური ეკოსისტემა უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდება.

ბლოგ.



ნახ.1. მსოფლიო მოსახლეობის პროგნოზი, 2000-2300 წწ [9].

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. www.un.org/esa
2. Gardner-Outlaw, Tom and Robert Engleman. Sustaining Water, Easing Scarcity: A Second Update: Revised Data for the Population Action International Report: Sustaining Water: Population and the Future of Renewable Water Supplies. Washington, D.C. Population Action International, 1997.
3. Brown Lester R., Gardner Gary, Halweil Brian I. Beyond Malthus, pp. 65-66.
4. Terborgh J. Requiem for Nature. Washington, D.C. Island Press, 1999.
5. Marland G., Boden T.A., Andres R.J. Global, Regional and National CO2 Emissions // A Compendium of Data on Global Change. Oak Ridge, Tennessee: Carbon Dioxide Information Analysis Center, Oak Ridge National Laboratory, U.S. Department of Energy.
6. Marland G., Boden T., Andres R. Global, Regional and National CO2 Emissions // Trends of Data on Global Change. Oak Ridge, Tennessee: Carbon Dioxide Information Analysis Center, Oak Ridge National Laboratory, U.S. Department of Energy, 2000.
7. www.tek.web-standart.net
8. Living Planet Report 2008.
9. World Population in 2300, Highlights // www.org/esa/Population/publications.
10. საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონკრეტულისთვის. -თბ., 2009.

საკ: 314.479.22

დედამიწის მოსახლეობა როგორც გლობალური ეპოდი გიური არიბლების დეტერმინანტი /გ. მელაძე, ნ. ელიზარაშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეტოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-გ.117.-გვ. 125-128.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მსოფლიო მოსახლეობის მატების ტემპის ცვლილება და განაწილება, ფართო ზეგავლენას ახდენს გარემომცველი გარემოს მდგრადებაზე და მისი განვითარების პერსპექტივზე.

უკანასკნელი 70 წლის მანძილზე დედამიწის მოსახლეობა გასამაგდა, ხოლო მოთხოვნილება წელზე ექსპერტ გაიზარდა. მტკნარი წელის არსებული მარაგის მოხმარება მსოფლიოში 54%-ს შეადგენს. მოსახლეობის ერთ სულზე, წელზე არსებული მოთხოვნილების დონის შენარჩუნების პირობებში, 2025 წლისათვის მხოლოდ მოსახლეობის მატების ხარჯზე გამოყენებულ იქნება მტკნარი წელის არსებული მარაგის 70%. ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად, ძლიერ და საშუალო ერთხას განიცდის საძოვრებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 2 მილიარდი ჰა ფართობის ნიადაგი. მოსახლეობის მატებისა და კლიმატის ცვლილების ზეგავლენით შესაძლებელია რესურსების უკარისობის გამოწვევა, რაც უპირველეს ყოვლის კოლოგიურად მგრძნობიარე მონაკვეთების ექსპლუატაციას გამოიწვევს.

მსოფლიო რეგიონებში გარემომცველ გარემოზე ადამიანის ზემოქმედების განსასაზღვრავდ გამოყენებულია „კოლოგიური კვალის“ მაჩვენებელი.

UDC: 314.479.22

Population of the Earth as a Determinant of Global Environmental Problems /G.Meladze, N.Elizbarashvili /Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. - 2011. - t.117.- pp.125-128. - ;Geo.; Summ. Geo.; Eng.; Russ.

Changes in the size of growth and distribution of human populations have a broad impact on the environment and on development prospects.

Global population has tripled over the past 70 years and water use has increased six times. Worldwide, 54 per cent of the annual available fresh water is being used. If consumption per person remains steady, by 2025 we could be using 70 per cent of the total because of population growth alone. As a result of anthropogenic influence Moderate to severe soil degradation affects nearly billion hectares of crop and grazing land. The effects of population growth and climate change could produce regional resource shortages, which in turn could result in the exploitation of environmentally sensitive areas. To measure people's impact on the environment on world regions, it is used an indicator of an „ecological footprint“

УДК 314.479.22

Численность населения земли как детерминант глобальных экологических проблем/Меладзе Г., Элизбарашвили Н./Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. –2011 –т.117–с.125-128. – Груз.;Рез.Груз., Анг.,Рус

Изменение численности темпов прироста и распределения населения оказывает широкое воздействия на состояние окружающей среды и на перспективы развития.

Численность населения земного шара за последние 70 лет утроилась, а потребление воды выросло в шесть раз. Уровень потребления годовых запасов пресной воды во всем мире составляет 54 процентов. При сохранении нынешнего уровня потребления воды на душу населения к 2025 будет использовано 70 процентов имеющихся запасов пресной воды только за счёт роста численности населения. Результатом антропогенного воздействия Деградации почвы в средней и сильной степени подвержены около 2 миллиардов гектаров сельскохозяйственных и пастбищных угодий. Влияние факторов – роста населения и изменения климата могут вызвать нехватку ресурсов в регионах, что в свою очередь, приводит к эксплуатации экологически чувствительных участков.

Для измерения воздействия человека на окружающую среду по регионам мира, использован показатель экологического следа.

ლ.ინწკირველი¹, ნ.ბუაჩიძე¹, მ.არაბიძე², გ.კუჭავა¹, ე.ბაქრაძე², ხ.დვალიშვილი¹, მ.გაბატაძე¹
¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
 პიდრომეტეტოროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი
²გარემოს ეროვნული საგენტო

საკ: 552.482.14

მდ. მთბოზის აუზის ყყლების ხარისხის განსაზღვრა ინფორმაციური პიროვნების მაჩვენებლების გამოვლენით

ევროკავშირის ქვეყნების წელის ჩარჩო დირექტივების (2000/60/EC) რეკომენდაციით [1,2] ზედაპირული წყლების კლასიფიკაციის მინიჭების პირობებში, ეკოლოგიური ხარისხის კოეფიციენტების შეალა უნდა დაიყოს ხუთ კლასად, დაწყებული კარგი და დამთავრებული ცული გეოლოგიური მდგრადირებით. შესაბამისად, წევრმა ქვეყნებმა მდინარის აუზის თვითონეული სეგმენტისათვის უნდა წარმოადგინონ ფერადად კოდირებული რუკა იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს მოცემულია ცხრ.1-ში.

ცხრილი 1. მდინარის ეკოლოგიური მდგრადარების კოდირებული რუკის ფერები [1]

მდინარის ეკოლოგიური მდგრადარების ლასიფიკაცია	ფერადი კოდი
საკაეთესო	ცისფერი
კარგი	მწვანე
საშუალო	ყვითელი
ცუდი	ნარინჯისფერი
ძალიან ცუდი	წითელი

იმისათვის, რომ ზედაპირულ წყალს მივანიჭოთ სათანადო კლასიფიკაცია, საჭიროა გამოანგარიშებულ იქნას ე.წ. წყლის დაბინძურების ხარისხის ინდექსი (S) არანაკლებ 6 ან 7 ჰიდროქიმიური მაჩვენებელის (ინდიკატორების) მეშვეობით. ყველა შემთხვევაში აუცილებელია წარმოდგენილ იქნას – წყლის pH, გახსნილი ჟანგბადი (DO) და ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარება (ჟბმ), ხოლო დანარჩენი ინდიკატორების ჩამონათვალი გაგრძელდება იმისდა მიხედვით, თუ რომელი დამაბინძურებლებია დამახასიათებელი ან პრიორიტეტული მათვის. ჩვენს მიერ შერჩეული და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშიც წარმატებით გამოყენებული მეთოდიების მიხედვით [3], წყლის დაბინძურების ინდექსი გამოითვლება შემდეგი განტოლებით:

$$S = \sum_{i=1}^{Ci} \frac{Ci \setminus \text{ნდ}}{N}, \quad (1)$$

სადაც:

- Ci - ჰიდროქიმიური ინდიკატორის კონცენტრაცია (მათი რაოდენობა არ უნდა იყოს 6-ზე ნაკლები);
- ზდ - ჰიდროქიმიური კომპონენტის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია;
- N - გამოთვლებში გამოყენებული ინდიკატორების რაოდენობა.

დაბინძურების ინდექსის გამოსათვლელად განტოლებაში გარდა ინდიკატორების მნიშვნელობებსა, აუცილებელია შეტანილ იქნას წყლის დამაბინძურებლების შესაბამისი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების (ზდ) მნიშვნელობებიც (ჩვენს შემთხვევაში საქართველოში მოქმედი ზდ-ს მნიშვნელობები).

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მდ. მტკვრის აუზზე (დაბა ხერთვისი - წითელი ხიდი) განხორციელდა რამდენიმე ეკოქიმიური მონიტორინგი სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. ასევე, არსებობს მრავალწლიანი ყოველთვიური სტატისტიკური მონაცემების ბაზა (გარემოს ეროვნული სააგენტო), რამაც შექმნა ყველა პირობა, იმისათვის რომ მდ. მტკვარს და მის ზოგიერთ შენაკადს პიღროქიმიური მაჩვენებლების მიხედვით მივანიჭოთ სარისხის შესაბამისი კლასიფიკაცია, არსებული ევროსტანდარტების გათვალისწინებით. ამ მიზნით მდ. მტკვარი (აღბის პუნქტებისა და არსებული მონაცემების გათვალისწინებით) დავყავით შემდეგ ექვს სეგმენტად: მდინარის სათვავე - ხერთვისი; ხერთვისი - ბორჯომი; ბორჯომი - გორი; გორი - ზაჟესი; ზაჟესი - გაჩიანი და გაჩიანი - რუსთავი. მისი შენაკადებიდან კი შეირჩა მდინარეები: სურამელა, ლიახვი, მაშავერა, ხრამი, აღაზანი და არაგი. გამოთვლებში გამოყენებულია გასაშუალოებული მრავალწლიანი მონაცემები (2009-2011 წ.წ.). მდ. მტკვრის ყველა სეგმენტისა და მისი შენაკადებისათვის შერჩეულ იქნა ინდიკატორები, შემდეგი პრიორიტეტებით თანმიმდევრობით (ცხრ.2).

ცხრილი 2. მდ. მტკვრის და მისი შენაკადებისათვის შერჩეული ინდიკატორები

ინდიკატორი	ზღვა
PH	7.5-8.5
DO	4-6
ქბმ ₅	3
NO ₂ ⁻	1.1
NO ₃ ⁻	10
NH ₄ ⁺	0.39
NH ₃	0.05
PO ₄ ³⁻	3.5
SO ₄ ²⁻	500
Cl ⁻	350

როგორც ვხედავთ ცხრ. 2-ში წარმოდგენილი ინდიკატორების ნუსხაში ჭარბობს ბიოგენური ელემენტების ფორმები (NO₂⁻, NO₃⁻, NH₃, NH₄⁺, PO₄³⁻) გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამად მდ. მტკვარი ძირითადად ბინძურდება ფერალური წლებით. სავარაუდოა, რომ ამ მიდგომით მივიღებთ რეალბასთან ყველაზე უფრო მიახლოებულ სურათს. რაც შეეხება მდინარეებს ხრამსა და მაშავერას, მათი საეციფიკურობიდან გამომდინარე, ინდიკატორების ნუსხა ოდნავ განსხვავებულია (ცხრ. 3).

ცხრილი 3. მდინარეების ხრამისა და მაშავერა-სათვის შერჩეული ინდიკატორები

ინდიკატორი	ზღვა (მგ/ლ)
PH	7.5-8.5
DO	4-6
ქბმ ₅	3
NO ₂ ⁻	1.1
NO ₃ ⁻	10
NH ₄ ⁺	0.39
PO ₄ ³⁻	3.5
Fe	0.3
Zn	1
Cu	1

ცხრ.3 - დან ჩანს, რომ მდ. ხრამისა და მაშავერას ინდიკატორების ნუსხაში შემოტანილია ზოგიერთი იმ მძიმე ლითონის (Fe, Zn, Cu) მნიშვნელობები, რომლებითაც მდიდარია რეგიონები, სადაც ისინი ხამოდინებიან და არც თუ ისე იშვიათად ხასიათდებიან მათი მაღალი შემცველობებით.

შერჩეული მდინარეებისათვის არსებული მონაცემების საფუძველზე შემოთავაზებული მეთოდიკის [3] მიხედვით გამოთვლილია (ფორმულა 1) წყლის დაბინძურების ინდექსები.

1. ხათავე - ხერთვისი

$$S = \frac{\frac{8.28^{\text{H}}}{7.5} + \frac{7.62^{\text{DO}}}{5} + \frac{1.60^{\text{ქბმ}}}{3} + \frac{0.04^{\text{NO}_2^-}}{1.1} + \frac{0.77^{\text{NO}_3^-}}{10} + \frac{0.31^{\text{NH}_4^+}}{0.39} + \frac{0.014^{\text{NH}_3}}{0.05} + \frac{0.09^{\text{PO}_4^{3-}}}{3.5} + \frac{11.2504}{500} + \frac{4.45^{\text{Cl}^-}}{350}}{10} = \\ = \frac{1.11 + 1.52 + 0.53 + 0.04 + 0.08 + 0.79 + 0.02 + 0.03 + 0.022 + 0.013}{10} = \boxed{0.42}$$

2. ხერთვისი - ბორჯომი

$$S = \frac{\frac{8.3}{7.5} + \frac{7.60}{5} + \frac{1.68}{3} + \frac{0.05}{1.1} + \frac{0.85}{10} + \frac{0.710}{0.39} + \frac{0.010}{0.05} + \frac{0.09}{3.5} + \frac{13.2}{500} + \frac{3.82}{350}}{10} = \\ = \frac{1.11 + 1.52 + 0.56 + 0.05 + 0.09 + 1.82 + 0.2 + 0.026 + 0.026 + 0.011}{10} = \boxed{0.54}$$

2. ბორჯომი - გორი

$$S = \frac{\frac{8.36}{7.5} + \frac{8.57}{5} + \frac{1.98}{3} + \frac{0.04}{1.1} + \frac{0.90}{10} + \frac{0.844}{0.39} + \frac{0.009}{0.05} + \frac{0.07}{3.5} + \frac{15.1}{500} + \frac{3.93}{350}}{10} = \\ = \frac{1.12 + 1.72 + 0.66 + 0.04 + 0.09 + 2.15 + 0.18 + 0.02 + 0.03 + 0.01}{10} = \boxed{0.61}$$

4. გორი - ზაჟესი

$$S = \frac{\frac{8.43}{7.5} + \frac{8.14}{5} + \frac{2.50}{3} + \frac{0.06}{1.1} + \frac{0.82}{10} + \frac{0.822}{0.39} + \frac{0.022}{0.05} + \frac{0.131}{3.5} + \frac{26.82}{500} + \frac{4.85}{350}}{10} = \\ = \frac{1.13 + 1.63 + 0.83 + 0.054 + 0.082 + 2.11 + 0.44 + 0.04 + 0.053 + 0.014}{10} = \boxed{0.64}$$

5. ზაჟესი - გაჩიანი

$$S = \frac{\frac{8.14}{7.5} + \frac{8.15}{5} + \frac{3.20}{3} + \frac{0.132}{1.1} + \frac{1.04}{10} + \frac{0.780}{0.39} + \frac{0.023}{0.05} + \frac{0.261}{3.5} + \frac{51.6}{500} + \frac{6.4}{350}}{10} = \\ = \frac{1.1 + 1.63 + 1.1 + 0.12 + 0.11 + 2.0 + 0.46 + 0.075 + 0.10 + 0.02}{10} = \boxed{0.67}$$

6. გაჩიანი - რუსთავი

$$S = \frac{\frac{8.16}{7.5} + \frac{8.45}{5} + \frac{3.32}{3} + \frac{0.210}{1.1} + \frac{1.21}{10} + \frac{0.862}{0.39} + \frac{0.015}{0.05} + \frac{0.22}{3.5} + \frac{63.0}{500} + \frac{7.2}{350}}{10} = \\ = \frac{1.1 + 1.7 + 1.1 + 0.2 + 0.12 + 0.2 + 0.3 + 0.06 + 0.13 + 0.021}{10} = \boxed{0.70}$$

გამოთვლილი წყლის დაბინძურების ინდექსების საფუძველზე შევაფასეთ შესწავლილ მდინარეთა წყლის ხარისხი, რისთვისაც გამოვიყენეთ ცხრ. 4 - ის მონაცემები.

ცხრილი 4. წყლის ხარისხის კლასიფიკაციის შეფასება დაბინძურების ინდექსების გამოყენებით [3]

ზედაპირული წყალი	დაბინძურების ინდექსი	წყლის ხარისხის კლასი
სუფთა	0.2—1,0	1
მცირედ დაბინძურებული	1.0—2,0	2
დაბინძურებული	2,0—4,0	3
ბინძური	4,0—6,0	4
ძლიერ დაბინძურებული	>6,0	5

ცხრ.5-ში წარმოდგენილია დაბინძურების ინდექსის მიხედვით მდ. მტკვრის ქავსივე სეგმენტისათვის ჩემს მიერ მინიჭებული ხარისხის კლასიფიკირები.

ცხრილი 5. მდ. მტკვრის სეგმენტებისათვის მინიჭებული ხარისხის კლასიფიკაციები

მდ. მტკვარი	დაბინძურების ინდექსი	წყლის ხარისხის კლასი
სათავე - ხერთვისი	0.42	1
ხერთვისი - ბორჯომი	0.54	1
ბორჯომი - გორი	0.61	1
გორი - ზაჰესი	0.64	1
ზაჰესი - გაჩიანი	0.67	1
გაჩიანი - რუსთავი	0.70	1

მიუხედავად იმისა, რომ მდ. მტკვრის წყლის დაბინძურების ინდექსი (მიღებული პიდოვებიმიური ინდიკატორების გათვალისწინებით) დაწყებული სათავიდან, დამთავრებული აზერბაიჯანის საზღვრამდე საგრძნობლად იცვლება (0.42-იდან 0.70-მდე), მისი წყლის ხარისხის კლასი საქართველოს მთელ ტრიტორიაზე რჩება უცვლელი და მიეკუთვნება სუფთას, ანუ 1 კლასის კატეგორიას (ცხრ.5).

ცხრ. 6 - ში მოცემულია იგივე მიღგომითა და მეთოდით [3] გამოთვლილი მდ. მტკვრის ზოგიერთი შენაბადის წყლის ხარისხის კლასიფიკაციები, რომელთა საფუძველზე ისინი მიეკუთვნებიან მცირედ დაბინძურებულ, დაბინძურებულ ან სუფთა მდინარეებს.

ცხრილი 6. მდ. მტკვრის ზოგიერთი შენაბადებისათვის წყლის ხარისხის კლასიფიკაციები

მდინარე	დაბინძურების ინდექსი	ხარისხის კლასი	ფერადი კოდი
მაშავერა (ზედა კვეთი)	0.64	1	სუფთა (მწვანე)
მაშავერა (ქვედა კვეთი)	2,18	3	დაბინძურებული (ნარინჯისფერი)
ხრამი	0.76	1	სუფთა(მწვანე)
სურამელა	1,30	2	მცირედ დაბინძურებული (ყვითელი)
ლიახვი (ზედა კვეთი)	1,66	2	მცირედ დაბინძურებული (ყვითელი)
ლიახვი (ქვედა კვეთი)	0.82	1	სუფთა (მწვანე)
ალაზანი (შაქრიანი)	0.52	1	სუფთა (მწვანე)
არაგვი	0.47	1	სუფთა

მაგალითად მდ. მაშავერა, რომელიც მის ზედა კვეთში პასუხობს კლასიფიკაციას - სუფთა, გაივლის რა ბოლნისის რეგიონში მდებარე მომქმედ მადნეულის საწარმოს, ექვევა ანთოროპოგენული დატვირთვის ქვეშ და, შესაბამისად, მის ქვედა კვეთში იღებს კლასიფიკაციას - დაბინძურებული. ასევე მცირედ დაბინძურებულის კლასიფიკაციაში მიხვდნენ მდ. სურამელა (დაბინძურება გამოწვეული ფერალიებით) და მდ. ლიახვის ზედა კვეთის ის ნაწილი, რომელიც იმყოფება ქ. ცხინვალის ფერალური წყლების გავლენის ქვეშ.

საიტერესო შესწავლილი დანინარების წყლების დაბინძურების ხარისხის დამოკიდებულება წლის სეზონურობასთან. კერძოდ, ცხრ.7-ში მოცე-

მულია მდ. მტკვრისა და მისი ორი შენაკადის წყლების დაბინძურების ხარისხი გაზაფხულის (წყალუხვობის) და ზაფხულის (წყალმცირობის) პერიოდებისათვის.

ცხრილი 7. მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების წყლების დაბინძურების ხარისხის დამოკიდებულება წლის სეზონურობასთან

მდინარე	სეზონი	დაბინძურების ინდექსი	წლის ხარისხი	ფერი
მტკვარი (გაჩიანი-რუსთავი)	გაზაფხული	0.61	1	მწვანე
	ზაფხული	1.05	2	ყვითელი
ხრამი	გაზაფხული	0.56	1	მწვანე
	ზაფხული	1.01	2	ყვითელი
სურამელა	გაზაფხული	0.76	1	მწვანე
	ზაფხული	1.66	2	ყვითელი

მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების წყლების ხარისხი უარესდება მათი დინების მიმართულებით. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკეთრად არის გამოხატული წყალმცირობის პერიოდში, რაც მიგვანიშნებს, რომ წლის თბილ პერიოდში დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ამ ეკოლოგიურ პრობლემას.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. წყლის ჩარჩო დირექტივის (2000/60/EC) განხორციელების ერთიანი სტრუქტურული დანართის შესრულებით (TACIS/2007/134-398).
2. ევროპაური. წყლის ჩარჩო დირექტივა (2000/60/EC). (TACIS/2007/134-398).
3. Гидрохимические показатели состояния окружающей среды. /Под ред. Т.В. Гусевой/- М.:ФОРУМ: ИНФРА-М, 2010

უაკ: 552.482.14

მდ. მტკვრის აუზის წყლების ხარისხის განსაზღვრა ინტეგრალური პიდოვებით მაჩვენებლების გამოყენებით/ლინგირველი, ნაკარიანი მარაბიძე, ბ.ეპუავა, ებაქრაძე, ნ.დგალიშვილი, მტაბატაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდოვებებითი მდინარემეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ.128-131.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საერთაშორისო პიდოვებითი პრაქტიკაში მიღებული შეფასების მეთოდის გამოყენებითა და საკვლევი რეგიონებისათვის დამახასიათებელ შერჩეულ ინდიკატორებზე დაყრდნობით დახასიათებულია მდ. მტკვრის აუზის წყლების ეკოლოგიური მდგრამარებელია. დადგენილია ის პრიორიტეტული ინდიკატორები, რომლებიც დიდი მიახლოებით ახასიათებენ ხსნებული მდინარეების აუზის წყლების ხარისხს და შეიძლება გამოვიყენოთ მათთვის კლასიფიკაციის მინიჭებისათვის. ინდენტიფიცირებულია მდ. მტკვრის „დაბინძურებული“ და „მცირედ დაბინძურებული“ შენაკადები. ნაჩვენებია, რომ მათი დაბინძურების ხარისხი გარკვეულწილად დამოკიდებულია წლის სეზონურობაზე.

UDC 552.482.14

Determination of the quality of riv. Kura basin waters using integral hydrochemical indecies./ Intskirveli L., Buachidze N., Arabidze M., Kutchava G., Bakradze E., Dvalishvili N., Tabatadze M/ /Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2011. - t.117. - pp. 128-131. - Georg .; Summ. Georg.; Eng.; Russ.

The present article discusses the method selected by us related to awarding the quality classification to surface water based on the Mtkvari river example. We have also identified the priority indicators that, in our opinion, are the most characteristic and reasonable for defining the quality of the river basin under question and, respectively, water classification. It was observed that some of the tributaries of the Mtkvari river can be classified as "polluted" or "slightly polluted", which claims attention. It was also found out that to some extent the level of water pollution depends on seasonality.

УДК 552.482.14

ОПРЕДЕЛЕНИЕ КАЧЕСТВА ВОД БАССЕЙНА Р. КУРА О ПРИМЕНЕНИЕМ ИНТЕГРАЛЬНЫХ ГИДРОХИМИЧЕСКИХ ПОКАЗАТЕЛЕЙ./Инцкирвели Л., Буачидзе Н., Арабидзе М., Кучава Г., Бакрадзе Е., Двалишвили Н., Табатадзе М./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии, Технического Университета Грузии. –2011. – т.117. – с. 128-131. – Груз.; Рез. Груз., Анг.,Рус.

Методом классификации было рассмотрено возможность присвоения качества поверхностным водам на примере бассейна р. Куры. Определены приоритетные индикаторы, которые более всего приемлемы для оценки качества воды для данного бассейна. Выяснилось, что некоторые притоки р. Куры соответствуют «загрязнённым» или «умеренно загрязнённым» классам, также выяснилось, что уровень загрязнения этих вод в некоторой степени зависит от времени года.

ბ. ქალანდაძე, ვ. ტრაპაიძე, გ. ბრეგვაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

უაგ: 551.482.215.75

**მდინარე მაშავერას სარჭავი ყყლების გაზღენა
გოლისის რაიონის სასოფლო-სამუშაოები
საგარებულებაზე**

თანამედროვე ეპოქაში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სამოქალაქო განსახლებისათვის აუცილებელია წელის რესურსების ინტენსიური გამოყენება, რისთვისაც განუზომლად იზრდება ჰიდროლოგიური ობიექტებზე ანთოპოგენური ზეგავლენის ფორმები და მასშტაბები.

XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის მიჯნაზე თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ამ მოვლენამ ადამიანებს ბევრ სიკეთესთან ერთად უამრავი პრობლემა გაუჩინა. ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად ხდება გარემოს გაჭუჭყიანება მრეწველობის ნარჩენებით, ჩამდინარე წყლებით, სხვადასხვა რადიაქტიული ნივთიერებებით, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული შესაბ-ქიმიკატებით.

საქართველოს ბუნებრივი პირობები ქმნის რეალურ შესაძლებლობას ქვეყანაში სარწყავი მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარებისა, რასაც უძველესი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ბერძენი მოგზაური და მეცნიერი სტრატეგიული საბადოს ბაზაზე. ცნობილია, რომ ასეთი ტიპის საწარმოები გარკვეულ

საქართველოს მიწები უფრო მეტადაა მორწყელი, ვიდრე ბაბილონისა და ეგვიპტის.

კლიმატის ცვლილების საერთაშორისო პანელის შესაბამისად მსოფლიოში მოსალოდნელია საშუალო კლიმატური ტემპერატურის მატება, რაც გამოწვების ირიგაციისათვის წყლის რესურსების კიდევ უფრო დიდი რაოდენობით გამოყენებას. წყალმოხმარების სხვა კატეგორიებთან შედარებით მოწყვისათვის გამოყენებული წყალი დაუბრუნებადია (ან ნაწილობრივი დაბრუნების შემთხვევაში მკვეთრად გაუარესებულია მისი ხარისხი), ამასთან როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით ისინი სეზონების მიხედვით უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ პარამეტრებს, რათა ბალანსი დადებითი იყოს.

ჩვენს ქვეყანაში კაოლინოგიური და სარწყავი პრობლემატიკიდან გამომდინარე ერთ-ერთ სენიტიურ (მგრძნობიარე) ადგილს წარმოადგენს მდინარე მაშავერას აუზი და მდინარის სარწყავი წყლების გავლენა ბოლნისის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საგარებულებზე.

მდინარე მაშავერა სათავეებს იღებს ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთ ფრთხობზე 1358 მ სიმაღლიდან და უერთდება მდინარე ქცია-ხრამს მარჯვენა მხრიდან სოფელ პატარა ძუბლოსთან, აუზის ფართობია 1390 კმ². მისი საშუალო წლიური ხარჯია 5.10 მ³/წმ, მინიმალური 2,02 მ³/წმ (95% უზრუნველყოფით) მდინარე მაშავერას შენაკადებიდან სასოფლო-სამეურნეო უკლიურების მოწყვისთვის გამოყენებულია ბოლნისის წყალი, ტალავრის წყალი, ფოლადაური და სხვა [1].

მდ. მაშავერას მარცხენა მხრიდან გაყვანილი ზედა არხი რწყავს 600 კ, კაზრეთის არხი 1400 ჰექტარს, იმირასანის არხი 3100 კ, მდინარე ფოლადაურიდან გაყვანილი კარა-სუს არხი 650 ჰექტარს, გმდაკის არხი 670 კ. გარდა აღნიშნული სარწყავი არხებისა მაშავერას აუზში ღელებიდან, ხრამებიდან და წყაროებიდან დიდი რაოდენობით არის გაყვანილი წვრილი არხები, რომლითაც იოწყვება დახლოებით 1400 კ.

აღნიშნულ სარწყავ ფართობებს ზაფხულის პერიოდში მდ. მაშავერას და მისი შენაკადების წყალი სრულად ვერ აქმაყოფილებდა, ამიტომ 1964 წელს მდინარე მაშავერას წყლით რეგულირებისათვის სოფ. პანტიათან მოწყვეს პანტიანის წყალსაცავი, რომლის მოცულობა 5,0 მლნ მ³ უდრის.

ბოლნისის რაიონი საქართველოს უმნიშვნელოვანების სასოფლო-სამეურნეო რეგიონია. რბილი პავისა და ნაყოფიერი ნიადაგების(მდელოს ყავისფერი, რუხი ყავისფერი) წყალობით მოსახლეობას წელიწადში სამი მოსავალი მოყენება. რაიონი საშუალო და მაღალმთიანია, რომლის აბსოლიტური სიმაღლე 500-1300-მის ფარგლებში მერყეობს. ბოლნისის რაიონი ტრადიციულად მევენახეობისა და მებოსტნეობის რაიონად ითვლება. რეგიონში არსებული მრავალი საწარმოდან ერთ-ერთი უმსხვილესია სააგვილი საზოგადოება „მადნეული“.

ეს არის სამთო-გამამდიდრებელი კომპინატი, რომელიც ფუნქციონირებს სპილენ-კოლხედანური და ბარიტ-პოლიმეტრული საბადოს ბაზაზე. ცნობილია, რომ ასეთი ტიპის საწარმოები გარკვეულ

საფრთხეს უქმნიან როგორც მიმდებარე ტერიტორიას, ასევე მთლიანად რეგიონის კონსისტენტებს.

გენეზისის მიხედვით მაღნეულის საბადო განეკუთვნება პიდროვერმული საბადოების ჯეფუს. კარიერული წყლების ქიმიური შედგენილობა განპირობებულია სულფიდური მინერალების დაფანგვისას წარმოქმნილი დიდი რაოდენობის გოგირდმჟავით, რომლის საშუალებითაც ხდება მათი გამოტანა სპილენძის, რინისა და თუთიის სულფატების სახით. მაღნის მირითად კომპონენტებთან ერთად დაფანგვის პროდუქტებში ხდება აქცესორული ელემენტების ხსნადი სულფატები, როგორიცაა კადმიუმი და კობალტი. კარიერულ წყლებში შედარებით მცირეა ტყვიისა და ბარიუმის შემცველობა იმის გამო, რომ მათი სულფატები უსხენადია და ისინი რჩებიან მაღნიანი სექულის შიგნით. ამავე დროს ფუჭი ქანების საყარებიდან და კუდსაცავებიდან დიდი რაოდენობით იწრიება წყალი, რომელიც კარიერის წყლების მსგავსად სულფატურ პროცესში მონაწილეობს და მისგან არაფრით განსხვავდება. აღნიშნული თავისებურებიდან გამომდინარე ძირითადი ტექნოგრეური დატვირთვა მოდის რეგიონის პიდროქსელზე და აქედან გამომდინარე სარწყავ სისტემაზე.

მდ. კაზრეთული მიედინება კუდსაცავების ქვეშ და გაჯერებულია მაღნის ელემენტებით. ჩევნი მონაცემებით სპილენძის, თუთიის, კადმიუმის და სულფატების ჯამური შემცველობა კაზრეთულაში ბევრად აღმატება ზედაპირული წყლებისათვის დასაშვებ კონცენტრაციას. წყლის ძალიან დაბალი PH-ის გამო ეს ელემენტები ძირითადი ხსნადი ფორმაში არიან და მათ მიგრაციის დიდი უნარი აქვთ.

კარიერის წყლები გადმოტუმბვის პროცესში კუდსაცავებიდან ხდება მდინარე კაზრეთულაში და შემდგომ მდ. მაშავერადან გამომდინარე სარწყავი სისტემების მეშვეობით ბოლნისის რაიონის სასაოვლო სამეურნეო საგარეულებში.

მდ. კაზრეთული და მაშავერა განიცდიან ძლიერ ტექნოგენურ დატვირთვას სპილენძისა და კადმიუმის სახით. ამ ელემენტების ჯამური შემცველობა ზეკ-ზე რამოდენიმეჯერ მეტია (მაგ: მდ. კაზრეთულაში კომპინატის მახლობლად სპილენძი 8,125 მგ/ლ შეადგენს, როცა ზეკ 1 მგ/ლ-ია, ხოლო მდ.მაშავერას შესართავთან შესაბამისად 1,212 მგ/ლ). ასევე მაღალია თუთიისა და კადმიუმის ჯამური ფორმებიც.

როგორც აღნიშნეთ რეგიონში ფუნქციონირებს კარგად განვითარებული სარწყავი სისტემა, რომელიც სათავეს იდებს მდ.მაშავერადან - მდ.კაზრეთულას შესართავის ქვემოთ. ამგვარად პიდროქსელის დაბინძურებას, როგორც პირდაპირი შედეგი მოჰყვება ნიადაგების დაბინძურება მაღნის ელემენტებით. [2]

სასოფლო სამეურნეო საგარეულის მორწყვისას ყველა კვადრატულ მეტრზე წელიწადში საშუალოდ 50 ლ წყალი იხსრჯება, შესაბამისად ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საგარეულზე მორწყვის შედებად 12,4 კგ სპილენძი, 3,6 კგ თუთია და 17გრ კადმიუმი ხდება. 1998 წლის ნიადაგის დაცვის გერმანული ნორმატივების მიხედვით ეს მონაცემები საგრძნობლად სცილდება ნორმებს და შემდეგ სურათს გვაძლევს: სპილენძი 36-ჯერ, თუთია და კადმიუმი კი 3-ჯერ აღმატება დასაშვებ ნორმას. ყოველი მორწყვის შემდეგ მდიმე მეტალების ნარჩენები ნიადაგის ზედაპირზე რჩება და შემდგრომი დამუშავების

შედეგად ნიადაგში ხვდება, საიდანაც ფესვებიდან მათი შეწოვა მიმდინარეობს.[3]

კვლევები ჩატარდა სხადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში: ხილის ბადებში, ვენახებში, ბოსტნებსა და მარცვლოვანი კულტურის ნაოქებში. გამოკვლეული იქნა მორწყველი მარცვლოვანი კულტურის 29 ნაოქები, 49 ბოსტანი, 33 ხილის ბადი და ვენახი. სპილენძის შემცველობაში განსხვავებული განზომილება გამოვლინდა. სპილენძის შემცველობის მაქსიმუმი ნაოქებში 450 მგ შეადგენს, ბოსტნეულის ბადებში 1100 მგ და ვენახებში ეს მაჩვენებელი ყველა კილოგრამზე 3000 მგ აღწევს. ეს იგი ჩვენ ვხედავთ, რომ გამოყენების ფორმის და იმის მიხედვით, თუ რა სისმირით და რა რაოდენობით ხდებოდა ნიადაგების მორწყვა, სპილენძის შემცველობაც განსხვავებულია[4]

პიდროსფეროსა და ნიადაგში დიდი რაოდენობით მძიმე მეტალების დაგროვება საკმაოდ მაგნეზიუმის ახდენს რეგიონის ბიოსფეროზე, რაც რამოდენები ასპექტში უნდა განვიხილოთ.

პირველ რიგში, აღსანიშნავია მავნე ნივთიერებების პირდაპირი ზემოქმედება მცენარეულ საფარზე. გარდა ამისა, პიდროსფეროსა და ნიადაგში მძიმე მეტალების კონცენტრაციის ზრდას შეუძლია სერიოზული გავლენა იქნიოს ნიადაგის მიკროფლორაზე, შეცვალოს მათი შემადგენლობა და უარყოფითი გავლენა იქნიოს ნიადაგის ოვოთალდეგენის პროცესებზე. [5,6]

ნიადაგი ლანდშაფტის ყველაზე ინფორმაციული ნაწილია, ვინაიდან იგი წარმოქმნება ლანდშაფტის ყველა დანარჩენი ელემენტის ურთიერთქმედების შედეგად. ამიტომ მასზე აისახება ყველა ის ტექნოგრენური და ბუნებრივი პროცესი, რომელსაც აღიალი აქვს მოცემული სისტემის ფარგლებში. [7]

საირიგაციი წყლის ობიექტებზე ანთროპოგნური ზემოქმედების ანალიზი მეტყველებს იმაზე რომ სარწყავ მიწათმოქმედებას შეუძლია გაართულოს ეკოლოგიური სიტუაცია რეგიონში, რის გამოსწორებაც შესაძლებელია მორწყვის თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავებით, სასოფლო სამეურნეო საგარეულებზე ეკოლოგიურად სუვთა მიწათმოქმედებაზე გადასვლით და სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციით.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. უკლება 6. "საქართველოს სსრ წყლის რესურსების კომლექსური გამოყენება სახალხო მეურნეობაში" თსუ 1977
2. Narimanidze, E., Wichmann, L., Felix-Henningsen, PP., Steffens, D., Schubert, S., Urushadze, T., Mishveladze, B. and Kalandadze, B. (2003): Bergbaubedingte Schwermetallbelastungen von Böden und Nutzpflanzen in einem Bewässerungsgebiet südlich von Tiflis/Georgien - Ausmaß und ökologische Bedeutung. Abschlußbericht für den Projektzeitraum 2000 - 2003, Giessen, Discussion paper No. 21, Center for International Environment and Development Research
3. Felix-Henningsen, PP., Urushadze, T. F., Narimannidze, E. I., Wichmann, L., Steffens, D., Kalandadze, B. (2007): Heavy metal pollution of soils and food crops due to mining wastes in an irrigation district south of Tbilisi, eastern Georgia. Annales Agrar. Sci. 5(3), 11–27.
4. Peter Felix-Henningsen, Diedrich Steffens, Tengiz Urushadze, Eliso Narimanidze-King, Besso Kalandadze; Uptake of Heavy

- Metals By Food Crops From Highly Polluted Kashtanozem in an Irrigation District Soutsh of Tbilisi, Eastern Georgia; Schriften zur Internationalen Entwicklungs und Umweltforschung, (Lorenz King, Giorgi Khubua) "Georgia in Transition", Giessen – Deutschland, 2009
5. Blume, H. PP. (Ed.) (2004): Handbuch des Bodenschutzes: Bodenökologie und -belastung, Vorbeugende und abwehrende Schutzmaßnahmen, Landsberg/Lech, Ecomed, 3rd ed..
 6. Бекер А. А., Агаев Т. Б. „Охрана и загрязнения природной среды“ Л., Гидропроиздат, 1989 г.
 7. Алеексеев Ю. В. „Тяжелые металлы в почвах и растениях“, Агропромиздат, 1987 г.
 8. Добровольский В. В. „География микроэлементов, глобальное рассеяние“, М., 1983 г.
 9. Кауричев И. С. др. „Почвоведение“, М., Агропромиздат, 1989 г.

უაპ 551.482.215.75

მდინარე მაშავერას სარწყავი წყლების გავლენა ბოლნის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საგარეულებზე/ბ.კალანდაძე, გ.ტრაპაიძე, გ.ბრევეგვაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.- ტ.117.-გვ. 131-133.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ბოლნისის რაიონი საქართველოს უმნიშვნელოვანების სასოფლო-სამეურნეო რეგიონია. აქ კარგადაა განვითარებული სარწყავი სისტემა და მდ. კაზრეულის და მაშავერას წყლით ხდება სავარგულების მორწყა. ორივე მდინარე განიცდის ძლიერ ტექნოგენურ დატვირთვას და პიდრომეტელის დაბინაზურებას როგორც პირდაპირი შეღვაი მოპყება ნიადაგის დაბინაზურება მაღნის ელემენტებით. სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ნიადაგბში ჩატარებული კვავეების შედეგად დადგინდა რომ იმის მიხედვით თუ რა სისტერითა და რა რაოდენობით ხდებოდა ნიადაგის მორწყა მასში სპილენძის, თუთის და კადმიუმის შემცველიბაც განსხვავებულია და კვლები შემთხვევაში აჭარბებებ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. ისინი უმთავრეს შემთხვევაში ხსნად ფორმაში არიან და მიგრაციის დიდი უნარი გააჩნიათ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია იმ კომპლექსური დონისძიებების გატარება, რომელიც მიმართული იქნება ეკოლოგიურად სუვთა მიწათმოქმედებაზე გადასვლით სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

UDC 551.482.215.75

Influence of the irrigation waters of the river Mashavera on the agricultural plots of Bolnisi Region./ Kalandadze B, Trapaidze V, Bregvadze G /Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2011. - т.117. – pp. 131-133. - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

Bolnisi region is one of the most important agricultural regions of Georgia, with a well-developed irrigation system, with the waters of the rivers Kazretula and Mashavera used to irrigate the plots of fields. Both rivers have a strong tectogenic burden and their hydrological network is subject to pollution. As a direct consequence, this causes the soil pollution with ore elements. The studies of the agricultural soils of different designations have made it clear that the content of copper, zinc and cadmium in them depends on the frequency and quantity of the soil irrigation, and it exceeds the maximum permissible concentrations in any case. The given elements are mostly in soluble form with a strong migration capability. Therefore, the combined measures to shift to the ecologically pure land cultivation of the agricultural plots is extremely important.

УДК 551.482.215.75

Влияние оросительных вод реки Машавера на сельскохозяйственные угодья Болниского района/ Каландадзе Б., Трапайдзе В., Брегвадзе Г./Сб. Трудов Института Гидрометеорологии, Технического Университета Грузии. –2011. – т.117. – с. 131-133. – Груз.; Рез. Груз., Анг.,Рус.

Болниский район является одним из важнейших сельскохозяйственных регионов Грузии. Здесь хорошо развита оросительная система и с помощью воды рек Казретула и Машавера осуществляется орошение угодий. Обе реки испытывают высокую техногенную нагрузку и загрязнение гидросети. Как прямое последствие, это вызывает загрязнение почвы элементами руды. В результате исследований, проведённых в сельскохозяйственных почвах разного назначения, установлено, что в зависимости от того, как часто и с какой интенсивностью орошалась почва, в ней содержание меди, цинка и кадмия различны, и они во всех случаях превышают предельно допустимые концентрации. Они в основном находятся в растворимой форме и обладают большой приверженностью к миграции. Поэтому весьма большое значение имеет проведение таких комплексных мероприятий, которые будут направлены к переходу на экологически чистое земледелие в сельскохозяйственных угодьях.

3. ელიტბარაშვილი*,** დ. კვაველიძე*, გ. ცოტაძე*,
ბ. კვირკველია*, ნ. გაშვიაძე**,
ნ. გაელიძე*,***

* ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

*** ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიის და
მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

უაპ. 551.510.42

**მძიმე მატალების შემცველობა ურეპი-
შეგვეთილის საპურორტო ზონის ზედამოწლ
წყლებში
შესავალი**

ზედაპირული წყლების ქიმიური შემადგენლობის ფორმირებას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. მთის ქანები, ნიადაგი, ცოცხალი ორგანიზმები და ასევე ადამინის სამეურნეო საქმიანობა უშეაღლოდ ზემოქმედებენ წყალზე. კლიმატი, რელიეფი, წყლის რეჟიმი, მცენარეულობა, პიდროგეოლოგიური პირობები კი განაპირებებს იმ ფაქტორებს, რომლებშიც მიმდინარეობს ნივთიერების და წყლის ზემოქმედება. მიმე მეტალების იდენტიფიკაცია და მათი რაოდენობითი განსაზღვრა, ასევე ამ ელემენტების შემდგომი მიგრაცია მოცემულ ეკოსისტემაში წარმოადგენს კოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვან ამოცანას.

ურეკი-შეგვეთილის საკურორტო ზონის ზედაპირული წყლების ყოველგვარტალური მონიტორინგი შესრულდა, 2008-2009 წლებში შემდეგ მეტალებზე: Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co, Ag, Cr, Cd პროექტის „ურეკი-შეგვეთილის საკურორტო ზონის კომპლექსური ეკოლოგიური და მიკროკლიმატური გამოკვლევა“ ფარგლებში.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია წყალში გახსნილი მძიმე მეტალების Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co კონცენტრაციის განსაზღვრული მნიშვნელობები. ურეკი-შეგვეთილის საკურორტო რეგიონი მდებარეობს მდინარეების სუფსას და ნატანებს შორის, ამიტომ ამ მდინარეებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მთაბეინობზე ზღვის წყლის შედეგილობასა და თვისებებზე მოსახლეობის წყალმოხმარების რაიონებში.

პროექტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამოყინვარე შერჩეული იქნა ზღვის წყლის 4 საკონტროლო პუნქტი: ზღვა 1 (მდ. ნატანების ზღვასთან შეერთება), ზღვა 2 (კურორტი შეკვეთილი), ზღვა 3 (კურორტი ურეკი), ზღვა 4 (მდ. სუფსის ზღვასთან შეერთება), მდინარის - მდ. ნატანები (სოფ. ქემო ნატანებთან) და მდ. სუფსა (სოფ. ხიდმადალაში) [1].

სინჯების აღება სრულდებოდა EPA-ს მეთოდის შესაბამისად. გახსნილი მეტალების განსასაზღვრავად სინჯის ნაწილი (დაახლოებით 200 მლ) იფილტრებოდა 0.45 მკმ მეტრანულ ფილტრზე, ფილტრაციის შემდეგ მეტალებიდან განზავებული აზოტმჟავას (1:1) ხსნარით 0.2%-მდე (მოცულობა/მოცულობა) და ინახებოდა 40°C ტემპერატურაზე. წყლის სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრები ტემპერატურა, pH, გამტარებლობა, TDS, მარილიანობა იზომებოდა სინჯის აღების ადგილზე პორტაციული ხელსაწყოების HI 98103 Checker® და Sension 5 გამოყენებით. გაფილტრულ სინჯებში მეტალთა განსაზღვრა შესრულდა ატომურ-აბსორბციულ სპექტრომეტრზე Aanalyst 800 Perkin Elmer. გაზომვების შეთოდიკები შეესაბამებოდა EPA-ს მეთოდებს, რომლის ბაზაზეც დამუშავებული იქნა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOP). Cu და Zn განისაზღვრა ალური ატომიზაციის, ხოლო Mo,Pb,Ag Co Cr,Ni,Mn,Cd ელექტროორმული ატომიზაციის მეთოდის გამოყენებით.

მიღებული შედეგები

ზღვისა და მდინარის წყალში გახსნილი მძიმე მეტალთა კონცენტრაციის მიღებული მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები საკონტროლო პუნქტების მიხედვით მოცემულია ცხრილ 1-ში.

მიღებული შედეგების საფუძველზე შესწავლილი იქნა მძიმე მეტალების კონცენტრაციის ცვლილება ზღვის და მდინარეების წყალში საკონტროლო პუნქტებისა და დროის მიხედვით.


ნახაზზე 1. ნაჩვენებია მეტალთა კონცენტრაციის მონაცემები, რომლებიც ასახავენ გახსნილი მეტალების კონცენტრაციის ცვლილების ხასიათს ზღვის წყალში საკონტროლო პუნქტების მიხედვით.

როგორც ნახაზიდან ჩანს, მეტალების: Mo, Pb, Ni და Co კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობების ცვლილებები უმნიშვნელოა. Cu, Zn და Mn კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობის ცვლილება კი შედარებით მნიშვნელოვანია საკონტროლო პუნქტში ზღვა 4.


ნახაზზე 2. ნაჩვენებია მეტალთა კონცენტრაციის მონაცემები, რომლებიც ასახავენ გახსნილი მეტალების კონცენტრაციის ცვლილების ხასიათს მდინარეების ნატანების და სუფსის წყალში საკონტროლო პუნქტების მიხედვით.

ცხრილი 1. ზღვისა და მდინარის წყალში გახსნილი მძიმე მეტალთა კონცენტრაციის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები საკონტროლო პუნქტების მიხედვით.

№	მგ/ლ		წელის საკონტროლო პუნქტები					
			ზღვა 1	ზღვა 2	ზღვა 3	ზღვა 4	მდინარეები	სუფსა
1	Cu	min	4.27	5.44	4.97	3.87	4.97	5.41
		max	11.39	6.92	10.57	37.39	13.28	9.39
2	Mo	min	1.06	1.26	1.46	1.29	1.21	1.49
		max	1.98	1.95	2.44	2.86	3.71	2.61
3	Pb	min	0.61	0.54	0.41	0.64	0.67	0.68
		max	0.72	0.61	1.21	1.08	0.73	0.96
4	Zn	min	8.49	8.63	8.44	9.11	8.32	8.56
		max	12.15	11.92	12.45	13.16	13.04	19.29
5	Mn	min	9.16	8.46	9.55	7.39	10.22	10.03
		max	9.45	10.28	11.51	14.53	15.36	14.31
6	Ni	min	0.89	1.12	1.16	0.67	1.28	1.13
		max	1.95	1.88	1.94	2.85	2.93	2.08
7	Co	min	0.23	0.24	0.37	0.43	0.45	0.37
		max	0.62	0.47	0.59	0.92	1.07	0.67




ნახ.1. Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობების ცვლილება ზღვის წყლის საკონტროლო პუნქტების მიხედვით.




ნახ.2. Cu,Mo,Pb,Zn,Mn,Ni,Co კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობები მდინარეების, ნატანების და სუფსის წყალში.

როგორც ნახაზიდან ჩანს, გახსნილი მძიმე მეტალების: Cu,Mo,Pb,Zn,Mn,Ni,Co, კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობები მდინარეების წყალში თომქმის ონაბარია.


ნახაზზე 3-6 ნაჩვენებია გახსნილი მძიმე მეტალების კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობების ცვლილებები ზღვის წყლის საკონტროლო პუნქტებში (ზღვა 1, ზღვა 2, ზღვა 3, ზღვა 4) დროის მიხედვით.




ნახ. 3. Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობების ცვლილება, დროის მიხედვით საკონტროლო პუნქტში ზღვა 1.



ნახ. 4. Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობების ცვლილება, დროის მიხედვით საკონტროლო პუნქტში ზღვა 2.



ნახ. 5. Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობების ცვლილება, დროის მიხედვით საკონტროლო პუნქტში ზღვა 3




ნახ. 6. Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობების ცვლილება, დროის მიხედვით საკონტროლო პუნქტში ზღვა 4.

როგორც ნახაზებიდან ჩანს, მძიმე მეტალთა კონცენტრაციის ცვლილებები შესამჩნევია საკონტროლო პუნქტებში ზღვა 1 და ზღვა 4.


ზღვა 1-ში, მეტალის Cu კონცენტრაცია მომატებულია ზამთარში, Zn, Ni, და Co ზაფხულში. მეტალების Mo, Pb, Mn კონცენტრაციის ცვლილებები დროის მიხედვით არ არის მკვეთრად გამოხატული.

ზღვა 4-ში, მეტალის Cu კონცენტრაცია მომატებულია შემოდგომაზე, Zn, Mo და Mn – ზაფხულში, Pb, Ni და Co – ზამთარში.

ნახაზებზე 7, 8 ნახვენებია მძიმე მეტალების: Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობების ცვლილებები მდინარეების წყლის საკონტროლო პუნქტებში ქვ. ნატანებთან (მდ. ნატანები) და ნიდმადალაში (მდ. სუფსა) დროის მიხედვით.



ნახ. 7. Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობების ცვლილება დროის მიხედვით მდ. ნატანების წყალში. (საკ. პუნქტი ქვ. ნატანებთან).



ნახ. 8. Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობების ცვლილება დროის მიხედვით, მდ. სუფსის წყალში. (საკ. პუნქტი ნიდმადალი)


როგორც ნახაზებიდან ჩანს, მდინარე ნატანების წყალში მეტალის Cu კონცენტრაცია მომატებულია ზამთარში, Mo – შემოდგომაზე, Zn, Mn, Ni და Co – ზაფხულში, Pb ცვლილებები უმნიშვნელოა.

მდინარე სუფსის წყალში მეტალის Cu კონცენტრაცია მომატებულია ზამთარში, Zn, Ni, Co ზაფხულში, Mn – შემოდგომაზე, Pb და Mo ცვლილებები უმნიშვნელოა.

იგარაუდება, რომ მდინარეების წყლებში მძიმე მეტალების დაბალი კონცენტრაციის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მაღალი სიმღვრივე, როგორც ცნობილია ტივტივა ნატანის ნაწილი (თიხა, მინერალები, კარბონატები, ორგანომინერალური ნივთიერებები და სხვა) კარგი ბუნებრივი სორბენტებია, რაც განაპირობებს მათი გახსნილი ფორმების დაბალ კონცენტრაციას. [2].

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ მიღებული შედეგები ნაკლებია წყალსატევებისათვის წაუქებულ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მნიშვნელობებზე [3] და შესაბამისობაშია ზღვის წყლის ქიმიური შედგენილობის ლიტერატურულ მონაცემებთან [4].

ვინაიდან მეტალთა მიგრაცია და ტოქსიკურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მათ კონცენტრაციაზე გახსნილ მდგომარეობაში, არამედ მათ არსებობაზე შეწონილ მდგომარეობაში, ამიტომ წყალში მეტალთა ფიზიკურ-ქიმიურ ფორმების არსებობის შესწავლა წარმოადგენს ძირითად პრიორიტეტს შემდგომი კვლევებისათვის.



